<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ზურგოვანის საცხოვრებელი კომპლექსისთვის ქართულ-ამერიკული უბნის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, ე.წ. ზურგოვანის საცხოვრებელი კომპლექს მიენიჭოს ქართულ-ამერიკული უბნის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=4800387 Y=4627985
X=4800253 Y=4627850
X=4800387 Y=4627734
X=4799968 Y=4627867
ავტოსადგომი ბორჯომის ბაზრობაზე
1:2,000


1:2,000
X=480137 Y=4627985
X=479968 Y=4627867
X=480253 Y=4627850
X=480038 Y=4627734

18/031907982 -03 20.03.19.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში

19-03-2019

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს,

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ძვირფასო, ბატონო გიორგი

ამერიკის საელჩო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართავს თხოვნით, რომ ზურგოვანის დიპლომატიურ სოფელში არსებულ სახლებს მიანიჭოს მისამართები და ნუმერაცია, რათა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შესძლონ ქონების საკუთრების იდენტიფიცირება და თავიანთი ოჯახის წევრების დარეგისტრირება მითითებულ მისამართებზე.

მოთხოვნის შესაბამისად, ამერიკის საელჩო მზად არის დამატებითი დოკუმენტაცია გადასცეს თბილისის საკრებულოს.

ჩვენთვის თქვენთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

პატივისცემით

ჯეისონ კალბფაიში

მრჩეველი მენეჯმენტის საკითხებში,

ამერიკის საელჩო თბილისში

Embassy of the United States of America

March 19, 2019
Tbilisi, Georgia

Mr. Giorgi Tkemaladze
Chairman
Tbilisi City Assembly
2 Galaktion Tabidze Street
Tbilisi, Georgia

Dear Mr. Tkemaladze:

The U.S. Embassy Tbilisi kindly requests the Tbilisi City Assembly to assign addresses and number the houses at the Diplomatic Village Zurgovani, so that the residents have record identifying ownership of the villas and register their family members to the proper addresses.

Upon request, the embassy is ready to provide the City Assembly any additional documents.

We appreciate your cooperation.

Sincerely,

EMBASSY OF THE UNITED STATES OF AMERICA TBILISI

Jason Kalbfleisch
Management Counselor
US Embassy Tbilisi

March 19, 2019
Tbilisi, Georgia

Mr. Giorgi Tkemaladze
Chairman
Tbilisi City Assembly
2 Galaktion Tabidze Street
Tbilisi, Georgia

Dear Mr. Tkemaladze:

The U.S. Embassy Tbilisi kindly requests the Tbilisi City Assembly to assign addresses and number the houses at the Diplomatic Village Zurgovani, so that the residents have record identifying ownership of the villas and register their family members to the proper addresses.

Upon request, the embassy is ready to provide the City Assembly any additional documents.

We appreciate your cooperation.

Sincerely,

Jason Kalbfleisch
Association Chairman
IHOA Zurgovani Residential Complex
ID 205366584.
Address: Tbilisi V.Zurgovani

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: 03-031910047
თარიღი: 10/04/2019
პინი: 5333

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: ზარტაფას ქ. /ა

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩევლის ჯეისონ კალბფაიშის 2019 წლის 20 მარტის საქმე #18/031907982-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს ზურგოვანაში დიპლომატიური უბნის სახელდებას.
გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს საკუთრებას და ტერიტორიის განაშენიანება წარმოდგენილია დასახლების სახით, ვერ განხორციელდება გზათა ქსელების სახელდება. კომისია მსჯელობს მოახდინოს მისი, როგორც დასახლების სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ დასახლების სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

15- 031911314-03

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01191124964
თარიღი: 22/04/2019
პინი: 2380

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

მიმართული: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 10.04.2019 წლის #03-031910047 (10.04.2019წ. #14-01191002818-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24